„Setanta + Netflix მაგთისგან“ - სარგებლობის პირობები

- წინამდებარე პირობები წარმოადგენს „მაგთიკომის“ შეთავაზების - **„Setanta + Netflix მაგთისგან“** (შემდგომში - „შეთავაზება“) **-** სარგებლობის პირობებს. „შეთავაზების“ გააქტიურებამდე, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ამ პირობებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიაქტიუროთ, თუ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ ყველა დებულებას;
- „შეთავაზების“ გასააქტიურებლად უნდა სარგებლობდეთ „მაგთიკომის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ან/და IP ტელევიზიით;
- თუ თქვენ სარგებლობთ „მაგთიკომის“ დამატებითი TV პაკეტით „Setanta“, „შეთავაზების“ გააქტიურების შემდეგ ის გაუქმდება. სურვილის შემთხვევაში, თქვენ ხელახლა უნდა გაიაქტიუროთ TV პაკეტი „Setanta“;
- „შეთავაზებით“ სარგებლობის 30-დღიანი ღირებულება ჩამოგეჭრებათ გააქტიურების მომენტში;
- „შეთავაზების“ გააქტიურებიდან ყოველი 30 დღის გასვლის შემდეგ, „შეთავაზებით“ სარგებლობის შემდგომი 30 დღის საფასური ავტომატურად ჩამოგეჭრებათ;
- „შეთავაზების“ გაუქმება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, მაგრამ ის ძალაში შევა იმ თარიღიდან, როცა უნდა ჩამოჭრილიყო შემდგომი 30-დღიანი სარგებლობის საფასური;
- თუ თქვენ დააფიქსირებთ „შეთავაზების“ გაუქმების მოთხოვნას, გაუქმების ძალაში შესვლამდე ნებისმიერ დროს შეგიძლიათ განაახლოთ „შეთავაზება“;
- „შეთავაზების“ გასააქტიურებლად საჭიროა თქვენი ელ. ფოსტის და ტელეფონის ნომრის გაზიარება „Netflix“-ისა და „Setanta Sports”-ისთვის. შეგახსენებთ, რომ „მაგთიკომის“ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება „მაგთიკომის“ კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. „Netflix“-ის / „Setanta Sports“-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკას შეგიძლიათ გაეცნოთ „Netflix“-ისა და „Setanta Sports“-ის ვებგვერდებზე;
- „Setanta Sports“-ის სერვისს გაწვდით „Eurasian Broadcasting Enterprise Limited“, მის მიერ დადგენილი პირობებით, რომელსაც ზემოაღნიშნული კომპანია ცალკე გაგაცნობთ;
- „Netflix“-ის სერვისს გაწვდით „Netflix International B.V.“ მის მიერ დადგენილი პირობებით, ზემოაღნიშნული კომპანია ცალკე გაგაცნობთ;
- იმისათვის, რომ, „შეთავაზების“ ფარგლებში, ისარგებლოთ "Netflix"-ისა და "Setanta Sports"-ის სერვისებით, თქვენ უნდა გაიაროთ აქტივაციის პროცედურა "Netflix"-სა და "Setanta Sports"-ზე. ინსტრუქციას მიიღებთ ელექტრონული ფოსტის ან SMS-ის საშუალებით;
- თუ თქვენ გაქვთ შექმნილი ანგარიში „Netflix“-ზე, აქტივაციის პროცესისას, შესაძლებლობა გაქვთ, არსებული ანგარიშ(ებ)ი დაუკავშიროთ „შეთავაზებას“. წინააღმდეგ შემთხვევაში, „Netflix“-ის არსებულ ანგარიშ(ებ)ზე ცალკე ჩამოგეჭრებათ სარგებლობის საფასური. „Netflix“-ის საფასურის დარიცხვასთან დაკავშირებით დამატებითი პირობები განსაზღვრულია „Netflix“-ის მომსახურების პირობებით და ნებისმიერი დამატებითი კითხვის შემთხვევაში მიმართეთ მათ;
- თუ თქვენ გაქვთ შექმნილი ანგარიში „Setanta Sports“-ზე, აქტივაციის პროცესისას, შესაძლებლობა გაქვთ, არსებული ანგარიშ(ებ)ი დაუკავშიროთ „შეთავაზებას“. წინააღმდეგ შემთხვევაში, „Setanta Sports“-ის არსებულ ანგარიშ(ებ)ზე ცალკე ჩამოგეჭრებათ სარგებლობის საფასური. „Setanta Sports“-ის საფასურის დარიცხვასთან დაკავშირებით დამატებითი პირობები განსაზღვრულია „Setanta Sports“-ის მომსახურების პირობებით და ნებისმიერი დამატებითი კითხვის შემთხვევაში მიმართეთ მათ;

Classification: MAGTICOM Confidential

- თუ თქვენ გამოწერილი გაქვთ „Netflix“-ის ან/და „Setanta Sports“-ის სერვისი, შეძლებთ „შეთავაზების“ გააქტიურებას. თუ მოისურვებთ ძველ სერვისში გადახდილი თანხის დაბრუნებას, ინდივიდუალურად უნდა მიმართოთ „Netflix“-ს ან/და „Setanta Sports“-ს. თანხის დაბრუნების პირობები რეგულირდება „Netflix“-ის /„Setanta Sports“-ის მიერ დადგენილი პოლიტიკით;
- „Netflix“-ის პაკეტის ცვლილებით გამოწვეული თანხა დაბრუნდება თქვენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ან/და IP ტელევიზიის სააბონენტო ანგარიშზე;
- „Netflix“-ის სხვა პაკეტების („Standard“ და „Premium“) გააქტიურება შესაძლებელია „შეთავაზების“ („Setanta + Netflix მაგთისგან“) გააქტიურების შემდეგ;
- „Netflix“-ის პაკეტის შეცვლა შესაძლებელია შეუზღუდავად, თუმცა განახლებულ ტარიფზე გადასვლა მოხდება მომდევნო დღიდან. პაკეტის ცვლილების მომენტში თქვენ ჩამოგეჭრებათ / დაგიბრუნდებათ ახალ პაკეტზე გადასვლის ღირებულება;
- ერთსა და იმავე კალენდარული დღის განმავლობაში პაკეტის გაზრდის (მაღალი ღირებულების პაკეტის გააქტიურების), შემდეგ კი შემცირების შემთხვევაში (დაბალი ღირებულების პაკეტზე გადასვლა) დაიქვითება იმ პაკეტის დღიური სააბონენტო, რომელიც უფრო მაღალი ღირებულებისაა;
- „შეთავაზების” გაუქმების შემთხვევაში, „შეთავაზების“ ჩართვამდე გააქტიურებული „Netflix“-ის სერვისი არ გაუქმდება და თანხის ჩამოჭრა გაგრძელდება სისტემაში დაფიქსირებული მეთოდით. თუ გსურთ გადახედოთ თქვენი „Netflix“-ის წევრობის დეტალებს, გთხოვთ „Netflix“-ზე ეწვიოთ „ანგარიშის“ გვერდს;
- „შეთავაზების” გაუქმების შემთხვევაში, „შეთავაზების“ ჩართვამდე გააქტიურებული „Setanta Sports“-ის სერვისი არ გაუქმდება და „Setanta Sports“-ზე თანხის ჩამოჭრა გაგრძელდება სისტემაში დაფიქსირებული მეთოდით. თუ გსურთ გადახედოთ თქვენი „Setanta Sports“ წევრობის დეტალებს, გთხოვთ „Setanta Sports-ზე ეწვიოთ "ანგარიშის" გვერდს;
- „Setanta Sports“-ისა და „Netflix“-ის სერვისით სარგებლობა შეგეძლებათ თქვენთვის სასურველი მოწყობილობის გამოყენებით რომლებიც თავსებადია „Setanta Sports“-ისა და „Netflix-ის პირობებთან“. სერვისის მისაღებად აუცილებელია, გქონდეთ კავშირი ინტერნეტთან;
- „შეთავაზების“ გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიიდან;
- ტერიტორიები, საიდანაც შესაძლებელია „Setanta Sports“-ისა და „Netflix“-ის სერვისებით სარგებლობა, განსაზღვრულია Setanta Sports“-ისა და „Netflix“-ის მომსახურების პირობებით;
- თითო მომხმარებელზე შესაძლებელია შეთავაზების მხოლოდ ერთხელ გააქტიურება;
- დაუშვებელია „შეთავაზების“ კომერციული მიზნებით გამოყენება. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „მაგთიკომის“ „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები“.

Classification: MAGTICOM Confidential